

საპოპუღი

ფანი ერთი შაური
 —
 ქლიურა ფსა სძა მან.
 —
 წელიწადი მეოთხე.

ქოველ-კვირული გავითი

კვირა, 28 აგვისტო 1911 წელი

შინაარსი: 1) ვინ იყენენ „პაპ“-ები, ანუ „პაპ“-ები -- ბლ. მღვ. მარგინისა; 2) ურტიკული შენაშენები -- ხომლეღისა; 3) ილუმენი თეოჟანე (ნეკროლოგი) -- ბლ. ბეს. ნიჟარაძისა; 4) კვირდამ კვირამდე; 5) წერილი ან: სენაკიდან -- მღ. ე. ზოგორიასა; 6) გაბრიელე დანუნიო (თარგმანი) -- ე. კმელისა; 7) რესპეტორს მ. ს. მკვლდიძეს და მისი გავითის თანაშრომელს ბ. ფანიუსს -- მღ. ნიკოლაძისა; 8) პასუხი -- რედ. მ. ს. მკვლდიძისა

ყოველ-კვირულ გავით
უინსურსა სპეციალურ

ხელის მოწყობა მან
 იღებს რედაქციაში,
 ქ. ქუთაისში. (საკურს-
 დალო -- კაზაკოვის შესახებ № 17). და თბილისში უკმადაც უფროსი სია. მ.
 ხის პაზარში, სიმონიანის შესახებ მანუა. გამოცემა ყოველ თვეში თბი
 ნომერი, ბბ. ხელის მომწერლებს ვიზიტი გაზეთის ფ. სი მუელი წლის
 ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: 3 მანეთი. | მასიდან წლას ბოლომდე
 ნახ. წლი: 2 მანეთი. | 2 მანეთი და 10 შაური.
 ადრესი: ქუთაისი: „მანუა, საქმების“ რედაქცია.

განცხადება.

მა წლის ეკეჩნისთვის 14, დილას 10 სწ-
 ათზე, შირველი ტოლის ძაცხოვრის ეკ-
 ლესიის კალაფანში მოხდება

ს ა გ ა რ ი კ ა ჯ რ ი ბ ა

შესახებ ახალის თლილის ქვის ეკლესიის
 აშენებისა.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდენ აღნიშნულ
 დროზე და იეპრონ; საჭირო იქმნება ამანათი
 (ხალოგი) ნაღდი ფულისა, ეპრობისას 50 მანეთი და კანტრაქტის შეკვრის დროს ერთი მეოთხედი მთელი ჯამისა.

ყოველივე დაწვრილებითი ცნობების კავება შეიძლება ყოველ დროს ადგილობრივ მკვლელთან

კომიტეტის თავმჯდომარე მკვლელი
 პოლიევქტოს გავოშიძე.



306 იანვარი „ბაკ“-ში, ანუ „ბაკ“-ში?*)

(„ლოცვა იერუსალიმისა, მათი ჯვართა, მათი პირითა გიკურთხოს ქრისტემან კვართი-კვართალი, ოლარი, გინგილი, ფილოვანი, ხელი შემოსილი ცოცხლს მღვდელს გვეს (ანუ ღიაკონს); ვაჰანდელეს, ექს—მელქს ფარა-მოწაფეთა მისთა იამენ!“...)

ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა მხარემ ბევრი განსაცდელი გამოიარა, მეტადრე სარწმუნოებას მხრით. მუდამ მტრების შემოსევა და ქვეყნის განადგურება ხელს უშლიდა წინსვლას... წინსვლა რა იყო, მაჰმადიანობა მძლავრდებოდა და განადგურებას გვექადა. ამას ზედ დაერთო შინაური უთანხმოება, შური და სიძულვილი ურთიერთ შორის...

ყველაფერს თავისი დალი დაასვეს მტრებმა: სადაც კი ადვილად მისწვდებოდნენ, ყოველგან ძალდატანებით შეჭმუნდათ თავიანთი სარწმუნოება, ზნე და ჩვეულება; ეკლესიებსა რყენიდნენ და წმინდა ნივთებისაგანა სკლიდნენ... მთლად გასკლიდნენ მათ ძვირფას ხატებისა და ნივთებისაგან, რომ მოშორებულნი ჩვენნი მეზობელნი არა... ერთიანად აღმოფხვრიდნენ ქრისტეს სარწმუნოებას და ყველგან მაჰმადიანობას გაამეფებდნენ, რომ ისევ ის მეზობელნი არა... ვინ იყვნენ და არიან ეს მეზობელნი? ესენი არიან თქვენი თანამეგობარტომობითა და სარწმუნოებით: სვანნი, ფშავესურნი და სხვა მთიულნი ხალხნი და მათნი მოძღვარნი, უკეთ რომა ესთქვათ „ბაპები“ და „დიკანოზები“. ჩვენ ვიტყვით პირველთა შესახებ.

სვანეთი, მოგეხსენებათ, უგზო-უკვლო ქვეყანაა, ძველად მაინც მეტად მიუდგომელი მხარე იყო. იგი შეადგენდა საქართველოს სამეფოს ნაწილს და თუ ხშირად თავისუფლების დროშას ატარებდა, — ეს მხნეობისა გამო სვანთა და იმ არეულობისა, რომელიც თითქმის

*) ეს წერილი იყო დაბეჭდილი „მწვემის“ 1903 და 1904 წ. წ. ნომრებში. ხელმეორეთა ვებეჭდავთ ზოგიერთების სურვილითა და თხოვნით, უფრო ვრცელად ავტორი.

მუდამ ეამ სუფევდს ჩვენში. სვანეთსაც ისეთივე მღვდელნი ჰყავდა იმავე დროს, როგორც დანარჩენებს, მაგრამ ისევ იმ განსაკუთრებულმა პირობებმა სვანეთი თითქმის განაცალკევა სხვებისაგან და რამდენიმე ხანს თავისუფლების დროშა მიანიჭა. ამ განცალკევებას არა ნაკლებ უწყობდა ხელს სვანთა გულადობა და გეოგრაფიული მდგომარეობა მხარისა. — გამოიყენა თუ არა ეს დრო სვანეთმა, ეს კია, რომ იგი უკან ჩამორჩა სხვებს: სარწმუნოება სიბნელით იმოსებოდა, არეულობა, კაცის კვლა, სისხლის აღება და ძაღადობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ნამდვილი მოძღვრები სად იყვნენ და მათი ალაგი დაიჭირეს „პაპებმა“, ანუ „ბაპებმა“. ერთს დროს თავისუფალი სვანეთი ცაგერელ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა, ხოლო სადაღმშველიანო სვანეთი „ცაიშს“, რომელნიც უგზავნიდნენ მას (სვანეთს) ნაკურთხს მღვდლებს, მაგრამ შემდეგ ეს დამოკიდულება თანდათან მოიხსო. ეს დამოკიდულება ამგვარი იყო. პაპებს ყოველთვისა ჰყავთ შეგირდები („დიკანარ“), რომლებსაც ასწავლიდნენ საღმრთო წერილს და სხვა სამსახურსა.

როდესაც პაპა მოხუცდებოდა და შეგირდიც გაიწვრთნებოდა, ამ უკანასკნელს აგზავნიდა ეპისკოპოსთან ცაგერს, ან ცაიშს, რომელიც ხელდასმულს აბრუნებდა სვანეთში. ძღვნად მიჰყავდათ ხარი, რომელსაც კურთხევის დღეს დაჰკლავდნენ და მიიწვევდნენ ეპისკოპოსს კრებულითურთ. ზემოთა ესთქვიით, რომ შემდეგში ეგ დამოკიდებულება თანდათან მოიხსო-მეთქი. მოიხსო ამგვარად, რომ პაპებმა თითონ მიითვისეს კურთხევის უფლება, თავის შეხედულობით ხელს ასხამდნენ „დიკანებს“ პაპებად და ეკლესიასაც თავისით განაგებდნენ. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია და არცაა გასაკვირველი, თუ თითო სოფელში მათი რიცხვი 10—15-დე აღიოდა. „ბაპ“ (ზედა ხევში, ანუ თავისუფალ სვანეთში) ხოლო „პაპ“-ი (ქვედა ხევში) ისე იცვამდა, როგორც სხვა სვანი: თავზედ ნაბდას წვეტიანი ქული, ან ფიფანაკი ეხურა, ტანზედ მცვა ქუქუიანი

შინაური ხელობის ტილოს მსხვილი პერანგი; რომლის საყულო კანათის მსხვილი ძაფით იკვრებოდა, ზედ შინაური ხელობისვე მსხვილი მატყლის ჩოხა, მერმე იმისვე შარალი (შარობარ) და პაიკები, ფეხებზედ მრგვალი ქალამები ბაწრით შემოკირებული. წელზედ ერთეულ დაუხელო ტყვის სარტყელი, რომელსაც მოდიდო, ადგილობრივი ხელობის, უშნო ხანჯალი ამძიმებდა. ბეჭზედ კაჟის თოფი „ყი-ი-მი“, ან „სტამბოლი“ ეკიდა. ყველა ეს გამოუცნობლადა ზდიდა პაპას უბრალო სვანისაგან. სხვა ხნავდა, პაპაცა ხნავდა, სხვა ომობდა, პაპაც ომობდა და წინ უძლოდა ლაშქარსა. მაგრამ ამავე დროს ის კიდევ მღვდელობდა, თუ შეიძლება ასე ითქვას... მასში თქვენ ნახავდით იგეთს ძალას, რომელიც ხალხს პატივისცემას და სიყვარულს აგრძნობინებდა. აი ამ „პაპებმა“ დაიცვეს სვანეთში ქრისტიანობა მოსპობისაგან და ხელი შეუშალეს მაჰმადიანობის გამეფებას, გამოსტაცეს ხელთაგან მაჰმადიანებს წმ. ძვირფასი ხატები და ნივთნი, რომელთაც ჩვენ ეხლა, თვალ წინა ვსობთ. ამით ხალხს დაუფასებელი სამსახური გაუწიეს. პაპების ყოფა-ცხოვრებაში ბევრი რამ ღირს შესანიშნავია, მეტადრე სანტიერესოა წირვა-ლოცვის, ნათელის, გვირგვინის კურთხევისა და სხვა საიდუმლოების წესრიგი და მათი აღსრულება.

ბ. მღვდელი ი. შარვანი.

დ. ტაგრა.

(შემდეგი იქნება).

კრიტიკული შენიშვნები.

(დუტუ მეგრელის მოთხრობანი და ლექსები 1910 წ.)

I.

1886 წ. შემოდგომის ერთ შეენიერ საღამოს ქ. ოდესაში იურიდიულ ფაკულტეტის

სტუდენტმა, დუტუ მეგრელმა თავის ბინაზე მაგვიპატიჟა მე, თქვენი უმორჩილესი მონა, ვასილი წერეთელი და გიორგი ლასხიშვილი და წაგვიკითხა თვის პირველი სალიტერატურო ნაწარმოები, თუ მახსოვრობა არა მალათობს, მგონია „საცოდავი“ თუმცა ახალგაზდა ავტორი ტან-მთელათ ვერ იყო, მაგრამ იგი მაინც ხმა მალდა, მოხდენილად და ცოცხლადაც კითხულობდა მოთხრობას, რომელმაც მე თანდათან დამაინტერესა ჩვენს ნორჩს ლიტერატურაში ახალი თემის შეტანით. აგრეთვე ჩემი ყურადღება მიიზიდა ავტორის დაკვირვების ნიჭმა, ცოცხალმა ქართულმა ენამ, ხალხის ცხოვრების სურათის შროიანად აღწერამ, მოხდენილმა შედარებებმა...

მართალია, მოთხრობის გმირთა სულის საიდუმლოებას ავტორი ვერა სწვდებოდა ღრმად და ძლიერად, ვერ ახასიათებდა იმათ არსებით მხარეებს, მაგრამ ეს მოითხოვდა ხომ დიდი ზომის მოთხრობის შეთხზვას, რაც აზრადაც არ ქონებია ავტორს იმ დროს. დუტუმ მოგვცა მხოლოდ ერთი სურათი მეგრელთა ცხოვრებიდან, რომელიც მე ლამაზად აღწერილი მეჩვენა. ამასთანავე ავტორს ქონდა დახატული ტურფა ეკას (მოთხრობის გმირის სახელია) სიყმაწვილე ცრუ უნიადაგო პათოსებით, არ დასტიროდა სანტიმენტალურის ცრემლებით ადამიანის უღრმოდ დაღუპვას. ძალიან ხელ-მოჭერით და ბუნებრივის დაკვირვებით ხატავდა მოთხრობის მოქმედ პირთა უბრალო, მარტივი სულის მოძრაობას და ამით უფრო მართალი და სწორი აღწერილობა გამოდიოდა ნაწარმოებში.

გაათავა ავტორმა მოთხრობის კითხვა და ჩვენ მიუულოცეთ მას მწერლობის ნიჭი. ამასთანავე ვურჩიეთ, რომ ეს მოთხრობა დასასტამბავად გაეგზავნა თფილისში, მთელ საქართველოში იმ დროს ერთად ერთს გაზ. „ივერიაში“, სადაც მეც ვსტამბავდი კრიტიკულ წერილებს აღესიდან. დუტუ მეგრელი, მართლაც ასე მოიქცა და ნახალწლევს 1887 წ. „ივერიაში“ ფელეტონებათ დაისტამბა ეს მისი პირ-

ველი მოთხოვნა*). მას აქვთ იგი ქართულ მწერლობას არ განზორებისა. დღეუ მგერელი სწერდა მოთხოვნებს, რომელნიც 1893 წ. „კვალში“ გაარჩია ჩემმა ნაამხანაგარმა ნიჭიერმა პეტრე ქარაიამ, რომელიც ზედ-მიწევნით მცოდნეა მგერელთა და აფხაზთა ცხოვრებისა, სწერდა პიესებსაც და ლექსებსაც, რომელნიც აგერ ერთ ტომდაც გამოიცა შარშან.

თვის პოეტურს ტალანტზე დღეუ მგერელს ძალიან დიდი წარმოდგენა არა აქვს და ამაშია სწორედ იმის ფრიალსიმბატიური მოღვაწეობის სიკეთე ჩვენთვის საყურადღებო. რამდენი ვითომდა პოეტი გვეყოლია წინათ და გვეყავს ახლაც ხომ, რომელნიც თავ-მომწონედ წარბმევრული, თმახუტუტებული, დაჰყურებდენ და დაჰყურებენ ჩვენ „ცოდვლ მიწას“, გაურბოდენ და გაურბიან მღუღარე ცხოვრებას, რომ ფეხსაცმელი ტალიახით არ გაისვარონ და თავის საკუთარს მოსაწონებელს პირადობას შეეყურებენ და უტრიალებენ გარშემო, აწვალბენ და აცოდვლებენ თავიანთ თავსაც და მკითხველსაც.

ამ მოღვექსეებს ერთო დიდი წარმოდგე-

*) აქვე, ბარემ, მინდა ვაუწყო მკითხველს ერთი სალიტერატურო ცნობაც, რომელიც, მგონია, მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იქნეს. განსვენებული ეგნატე ნინოშვილის პირველი ნაწარმოები ჩემს სახელთან არის შეკავშირებული. 1890 წ., როცა გაზვითი „თეატრი“ ჩვენს ხელში (უმანლობელესი ხელმძღვანელნი გაზვითისა, რომლის თეიურ ჟურნალად გადაკეთება არ მოხერხდა „მიწისისა გამო სხვისა და სხვისა“, ივენენ: ვანო ჯაბადარი, ნიკო ხიზანაშვილი, ნიკო ხუდადოვი, ანტ. ფურცელაძე, თ. იას. მ. ლორთქიფანიძე და სხ.) იყო, კრიტიკული განყოფილება, რედაქცია და კორრექტურა მე მებარა. რედაქციის ხელმძღვანელნი დაწინაურდნ დროს რომ შეიკრიბებოდნენ, გაზეთში დასასტამბავ მასალების ასარჩევათ, ხელნაწერების ანგარიში მათთვის მე უნდა წარმედგინა. რედაქციაში მომივიდა, სხვათა შორის, ლიტერატურაში სრულიად უცნობი ავტორის ეგ. ნინოშვილის პირველი მოთხოვნა „უწვილი“, რომელიც ჩემ მიერ მოწონებული იქნა და დაისტამბა კიდევ „თეატრში“. აქედან დაიწყო განსვენებული მოთხოვნების წერა ჟურნალის ცხოვრებიდან ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და გავიცანი მეც დაახლოვებით, რომელთანაც ხშირი მიწერ-მოწერა ქონდა მას.

ავტ.

ნა აქვთ თავიანთ ნიქსა და მოწოდებაზე, იმათ ნაწერებს კრიტიკა ვერ შეეხება, რადგან ვერ წარმოუდგენიათ ამ „პოეტებს“, იუ მათზე ჰკუიანად, გრძობიერად, პატიოსნად და შვენიერად კიდევ ვისმე ჰვეყნაზე შეუძლია ან ცხოვრება, ან მოღვაწეობა... ერთი სიტყვით, ეს „პოეტები“ პირდაპირ ხელ-შეუღებელნი „რჩეულნი“ არიან და ესეც დარჩებიან სამუდამოთ, რადგან ძალიან გაუნათლებელნი ეგონისტნი და ვიწრო შუბლის პატრონი ბრძანდებიან.

სულ სხვა დღეუ მგერელი. იგი ეყუთვნის იმ განათლებულ და ფრიალ შეგნებულ ქართველ პოეტთა მცირე გუნდს, რომელნიც თითზე ჩამოსათვლელია ჩვენში. გასული საუკუნის 60-იან წლებს აქედ უნივერსიტეტში კურს დასრულებული პოეტი ქართველებს სამიც არა გვეყოლია და ამაში მე ვხედავ ჩვენი ლირიკის დიდს დაქვეითებას..

მართალია, ტენიკა ჩვენი ახალი ლირიკისა განვითარდა, გაშვენიერდა. მაგრამ მარტო ტენიკა მისთვის არ კმარა ხომ. ლირიკისათვის სხვაც ბევრი რამ აარას საქარო, აუცილებელი ამ ჩვენს დროში და ეს არი უმთავრესი მიზეზი, რომ ასე გარავლებულ მოღვექსეებს შორის ჰეშმარტ კრიტიკას ჯერ ერთიც ვერ გამოუჩნახავს, რომ პარანასის ტახტზე დასვა.

დღეუ მგერელი თავის თავზე ძალიან მართალს ამბობს და ამისთვის იგი უფრო საყვარელია:

„ორბელიანის სამხატვრო ნიჭი არ მოუცია ჩემთვის განგებას,— ვერ ავწერ, მისებრ, მე საქართველოს სილიადეს და შვენიერებას; არც მომხადელია ბარათაშვილის ტიტანიური „სულის კვეთება“,— იმის „ზღვა გულის“ საშინელს „კენესას“ ჩემი „ტრემლები“ ვერ შეედრება; არც აკაკისებრ აზრის ჩამონხმის და ლამაზად თქმის მაქვს მე უნარი,— მისს „სუბრუქ ფრთითა აღმაფრენ“ ჩემი ლექსია დასაწუნარი!

მაგრამ რა ვუყოთ? განა ბნელაში უბრალო ქრაქიც არ სწევს სანთლობას? განა იმისი ოღნაფ მბუტუთავი სინათლე არ სჯობს სულ არაობას? მეც იმ ქრაქს ვგავარ და, თუმც არა ვარ ზეგარდმო მადლით უხვად ცხებული, ვარს შემორტყმულ ბნელს ვფენ მცირე ნათელს წმინდა, წრფელ გრძნობით აღფრთოვნებულნი!..

(შემდეგი იქნება).

სომეხელი.

ილუზიანი თაოფანა.

(ხეგრადლოგი).

მიმდინარე წლის 18 იანვარს სოფ. წვირმისს, — სვანეთში, გარდაიცვალა 72 წლის ილუზიანი თაოფანე, ერის კაცობაში თანხავე კორდაია; ხოლო 12 მარტს ამავე წლისას დაკრძალულ იქმნა მისგანვე აშენებულს*) მიძინების ეკლესიაში. დაკრძალვას სვანეთის სამღვდლოება უკლებლივ დაესწრო. მიუხედავად უზოობისა (კუდი ზამთრის გამო, რომლის მიზეზითაც დაპარხვა განსვენებულისა ასე დაგვიანდა.

რადგან ერთის მხრით განსვენებულს ქართველი სამღვდლოების დიდი ნაწილი მესამოცე წლებიდან იცნობდა და მეორეს მხრით იგი იყო პირველი სვანი ახალი დგმის ხსოვნაში, რომელმაც მიუხედავად თანა მემამულეთა შეხედულობისა უშვილოდ გადაშენებაზე — შეიმოსა სახე მონაზონობისა, ამისთვის ვალად ვრაცხ ჩემს თავს განსვენებულის ვინაობა და მოღვაწეობა ვაუწყო საზოგადოებას. რამდენიმე მასალა თავის ბიოგრაფიისათვის განსვენებულს.

*) საფლავი და კუბო სიცოცხლეშივე ჰქონდა მომზადებული.

ავტორი.

ნებულის ქალღმერთშივე ვიპოვე, ნაკუწ-ნაკუწ ქაილდებზე დაწერილი. ამ შენიშვნებიდან სჩანს, რომ განსვენებული ყოფილა სოფ. წვირმისში მცხოვრები გრიგოლ და მანია კორდაიების ერთად ერთი შვილი. დედა წელიწად ნახევრის შემდეგ მოკვდომია, ხოლო მამას დარჩენია იგი სამის წლის ობლათ. მამა მისი გრიგოლ კორდაია, მთიდგან ჩამოგორებულ ქვას მოუკლავს. წელიწად ნახევრის ობლათ დარჩენილი თანხავე ერთი მეზობლის მადლიან ქალს, სახელდობრ დარჯი ივეჩიანის მკუდლეს უშვილები და კიდევაც უპატრონებია მისთვის. „ამ დროს, სწერს განსვენებული თავის ძენლათ გასარჩევ შენიშვნებში, სვანეთში მღვდლების მაციერ პაპები იყვნენ. ამათ, შედარებით, პატივიც კარგი ჰქონდათ და ხორაგით შემოსავალიც, ასე რომ ყოველ სვანს ენატრებოდა პაპობა. ჩემმა განზრდელმა ქალმაც, აილო და 14 — 16 წლისა მიმბარა ადგილობრივ პაპას — ფუთა ფანგანს, რომელსაც უნდა ესწავლებია ჩემთვის დიაკვნობა; საგამდლოთ ერთი ვეცხლის დიდი დიდი მისცა და როცა სწავლას გვათავებდი, ძროხა უნდა მიგვეცა.“ თანხავე ორა წელიწადი დარჩენილა პაპა ფანგანთან. დღით მამუშავებდა და ღამე ზეპირად ლოცვებს მასწავლიდაო, როგორც შემდეგ აღმოჩნდა ძლიერ არეულ-დარეულად. ორი წლის შემდეგ თანხავე უკვე პაპა-დააკონი გამხდარა, რომელსაც საკურთხეველში შესვლის ნება არა ჰქონდა, მხოლოდ უნდა ეგალობა ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს.

საკურთხეველში შედიოდა მხოლოდ ის პაპა, რომელმაც სამღვთო წიგნების კითხვა იცოდა და ნაკურთხიც უნდა ყოფილიყო; მას პაპები ეძახოდნენ «ზედა მწირველის» ე. ი. ჩვენებურად ნაკურთხი მღვდელი.

„ესრეთი ზედამწირველი“ სწერს განსვენებული თავის შენიშვნებში „ყველა სოფელში უნდა ყოფილიყო, და თუ არ იყო, — საკირო დროს სხვა სოფლიდან უნდა მოეწვიათ და ეს კი არ უნდოდა ხალხს და კიდევაც სწყინდა. ჩემი პაპობის დროს — განაგრძობს განსვენებულმა, სოფ. წვირმისში „ზედა მწირველათ“ პა-

პა იობა თამლიანი იყო, მაგრამ, როგორც სწეული, სოფლის ყველა მოთხოვნილებას თავის დროზე ვერ ასრულებდა და ამისთვის სოფელი უკმაყოფილო იყო პაპებზე. ერთხელ სოფელი შეკრებულა და გამოუცხადებია პაპებისათვის: ან ვინმემ ისწავლეთ «ზედა-მწირველობა» ანა და ყველამ თავი დაანებეთო. სოფლის მოთხოვნილებას უმოქმედნია პაპა თაისავეზე და იგი მიბარებია მეზობელ სოფლის იფორის „ზედამწირველს“ ადამა გულბანს, რომელსაც მაშინ სწავლით პაპა არა სჯობდა სვანეთშიო. ორ წელიწადს ამ პაპასთან დარჩენილა, უსწავლია წიგნების კითხვა და მერმე „ნაკურთხი“ „ზედამწირველად“ დაბრუნებულა სოფ. წვირმისში. ხან მარტო ვსწირავდი, ხან პაპებთანო, ვგრძნობდი, რომ არაფერი ვიცოდი და ვიტანჯებოდიო. ამ დროს რუსობამაც მოაწია სვანეთში, მოვიდა ქუთაისის გუბერნატორი (?) კოლიუბაკინიო და თან მოყვა სვანეთში კარგათ ცნობილი თ. ალექსანდრე მიქელაძე, რომელიც შემდეგში გამხდარა განსვენებულის მფარველ-პატრონად. აქ თავდება განსვენებულის შენიშვნები და რაც ქვემოთ იქნება ნათქვამი სხვა წყაროებიდან გვაქვს შეკრებილი.

როგორც დაბეჭდილ წყაროებიდან ვიცით, თ. ალექსანდრე მიქელაძე პირველად სვანეთში ყოფილა 1846 წელს, და ამავე წელს გაუტყენია პაპა თაისავ კორძაია, ხოლო ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი პოლკოვნიკი კოლიუბაკინი ყოფილა სვანეთში 1847 წელს. ამავე წელს წამოუყვანია თ. მიქელაძეს განსვენებული თეოფანე და მიუყვანია გელიათის მონასტერში, სადაც შეძლებისდაგვარად უსწავლია სამღვთაო წერილი; ასე რომ 15 მაისს 1859 წ. იგი უკვე დაუნიშნავთ სვანეთში მედავითნეთ. ბერათ აღკვეცილა 1 მაისს 1861 წ. ამავე წლის 17 აგვისტოს განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსს დიაკვნათ უკურთხებია, ხოლო 30 სექტემბერს ექსარხოსს ევსევის მღვდელ მონაზონათ და დაუნიშნავთ თავის სოფ. წვირმის მღვდლათ, სადაც იგი მსახურებდა 22 დეკემბრამდე 1901 წლისა, ე. ი. ორმოცი წელი-

წადი. ამ დროიდგან დასწეულდა ქარებისაგან, დახუთდა და აუწერელს და აუტანელს ტანჯვში განატარა დანარჩენი დღენი ცხოვრებისა თვისისანი.

გელათის მონასტერში ცხოვრებამ და აგრეთვე გადმოცემით მოღწეულმა ჩვენამდე, რომ სვანეთში ძველათ მონაზვნები ყოფილან, შეაყვარა განსვენებულს — როგორც თვითონ ამბობდა ბერობს და იმავე დროს ჩაუნერგა მას აზრი სვანეთში მონასტრის გახსნისა, ამისი იმედი მას უფრო იმიტომ ჰქონდა, რომ სახელოვანი მაშინდელი მღვდელ-მთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი კარგის თვალით უყურებდა, როგორც ბუნებით სვანს. სამი წლის მერმე, შემდეგ თეოფანეს მღვდელ-მონა ვნათ კურთხევისა ე. ი. 1864 წ. განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსი მობრძანდა სვანეთს, მიმოვილო ყველა სოფლები და სხვათა შორის ს. წვირმისაც თეოფანეს სამრევლოში მიბრძანდა. აქ სწირა; წირვის დროს თეოფანეს ათარგმინებს სვანურად დღის სახარებას და ზოგიერთ ასამაღლებლებს; ამავე მიზნისთვის განსვენებული მღვდელმთავარი სხვა სოფლებში აცოლიებს თეოფანეს ს. სვანეთის მიმოხილვის დროს მ. თეოფანე უმეტავენებს მღვდელმთავარს თავის აზრს—მონასტრის გახსნისას,—იქვე წვირმის ახლოს და როგორც სჩანს—მღვდელმთავარიც იყბულებს; აჩვენებს რა სამონა ტრო აღგილა.

ამ დროიდგან ე. ი. 1864 წლიდამ განსვენებული ილუმენი შეუდგა სამონასტრო აჯგისის შექმნა-გაწმენდას და მეტის მეტი ჯაფის წყალობით უერონი, უვარჯისი და უყენი ადგილი გადააქცია სახნავ-სათესად. განსვენებული მუდამ ცდილობდა გაეფართოებია სამონასტრო ადგილები; ამან ცოტა არ იყოს—მეზობლებში ცოტა უკმაყოფილება გამოიწვია და რამოდენიმე ჯერ გულიც მიაყვანიეს თავის მოძღვარ ბერს. ეს იყო მიზეზი, რომ 1873 წელს, როდესაც სვანეთისთვის დაუფიწყარი გაბრიელ ეპისკოპოსი მეორეთ ეწვია სვანეთს, თეოფანემ სამღურავი განუცხადა თავის მრევლზე, რამაც გამოიწვია შემდეგი საყვედური სათაყვანო მღვდელმთავრისა: «Въ поученіи адхш-

нимъ (წვიამში) прихожанамъ, собравшимъ около дома Теофана я, между прочимъ упрекать сильно жителей за то, что они не цѣнятъ своего духовнаго отца. Въмѣсто того, чтобы радоваться, что изъ нихъ же самыхъ они имѣютъ такого усерднаго учителя и слушателя его, они его огорчаютъ».

ეტყობა განსვენებული თეოფანე 12 წელს მონდომებია სამონა ტრო აღკვლების შეძენა-შემუშავებას და მხოლოდ 1876 წელს მიუღია ნებართვა ეკლესიის შენებისა. აი რას სწერს გაბრიელ ეპისკოპოსი მაშინდელ სვანეთის ბლალაჩინს ი. ვაწაძეს: „На рапортъ Вашъ отъ 3-го сего марта за № 20 касательно постройки Иеромонахъ мѣ Цвириискаго монастыря Теофаномъ церкви на купленномъ имъ мѣстѣ, предписываю Вамъ объявить ему, что я даю дозволеніе и благословеніе удовлетворить благочестивому своему желанію и церковь построить на томъ мѣстѣ, которое онъ мнѣ показалъ въ бытность мою въ Сванетіи. Гавріилъ Еп. Имеретіи 24 марта 1876 г. № 1579.

ნებართვის მიღებისათნავე მ. თეოფანე შეუდგა დიდი ეკლესიის აშენებას, მღვთის მშობლის მიძინების სახელზედ, მაგრამ რადგან ამ ეკლესიის მოთავებამდე მას ეჭირებოდა იქვე სამლოცველო, — სამწირველო, მისთვის გაბრიელ ეპისკოპოსი კერძო ბარათში სწერს მაშინდელ სვანეთის ბლალაჩინს ვაწაძეს 11 ოქტომბერიდან 1877 წ. რომ მან, ეპისკოპოსმან ნება მისცა თეოფანეს „აკურთხოს ეკვტერი, რომელიც აუშენებია იოანე ნათლისმცემლის სახელზედ დიდ ეკლესიასთან“.

რასაკვირველია, მონასტრის მოწყობის, ეკლესია-სენაკთა აშენებას შეძლება უნდა და ეს სად ჰქონდა განსვენებულს იღუმენს? როგორც მრევლის მღვდელს მას ეძლეოდა წელიწადში 400 მინ. მაგრამ ამითი რას გააწყობდა? ამისთვის მან მიმართა იმ საშუალებებს, რომელიც ამ გვარებში მიღებულია: ნებაყოფლობით შემოწირულებათა მოკროვებას, რომლისთვის

საც საქირ იყო სათანადო მთავრობის ნებართვა.

როგორც განსვენებულის ქალღმებღვან სხანს პირველი ნებართვა გრიგოლ ეპისკოპოსს მიუცია 1886 წელს 20 ნოემბერს; შემდეგ აგეთივე ნებართვა მიუციათ ექსარხოს ვლადიმერს, ეპ. ალექსანდრეს ექსარხოსის მაგიერ ორჯერ და ეპისკოპოსს ბესარიონს. შემოწირულობათა შეგროვების დროს განსვენებულს შემოუვლია მთელი საქართველო, არ დაუტოვებია უნახავი არც ერთი მონასტერი და ყველაზე უფრო მოსწონებია შიო მღვიმის მონასტერი ქართლში. ამ მონასტრის წესრიგზე სურდა განსვენებულს მოეწყო თავისი მონასტერიც და სხვათა შორის ყველიერის ხუთშაბათიც, როგორც შიოში ყოფილა — გააწესა დღესასწაულათ, ამ დღესასწაულს დიდის ამბით იხდიდა და თუმცა იმ დროს ყოველთვის დიდი თოვლი ძვეს სვანეთში, მაგრამ საქმედლოება მაინც მუდამ ესწრებოდა შემოწირულებათა მოკროვება გაგრძელდა 1890 წლამდე, რა წელსაც სვანეთში მოსულა მისიონერი-ინსპექტორი არქიმანდრიტი ამბროსი (კავკასიძე) რომელსაც თავის ინგარიშიში სვანეთის შესახებ აღუნიშნავს სასარგებლო მოღვაწეობა იღუმენის თეოფანესი და სხვათა შორის ის აზრი შეუტანია ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების საბჭოში, რომ ცნობაში მოეყვანათ თეოფანეს მიერ შეძენილი აღკვლები. ეს საქმე ადგილობრივ ბლალაჩინასათვის მიუწვდიათ და მას ერთად ადგილების აღწერილობისათვის იღუმენ თეოფანეს თხოვნაც წარუდგენია მაშინდელ ეპ. გრიგოლთან; თხოვნაში იღუმენი თეოფანე აცხადებს, რომ მის მიერ შეძენილ ადგილეს სწირავს (რაკი მონასტერი არ მოხერხდა) ადგილობრივ ეკლესიას. ამ შემოწირულებასათვის ეპ. გრიგორი 20 სექტემბრიდან 1891 წლისა ლოკვაკურთხევას უგზავნის შემომწირველს. თუმცა ამნაირად მიდიოდა საქმე, მაგრამ განსვენებულს იღუმენს მონასტრის გახსნის იმედს მინც არ ჰქარგავდა. დიდი ეკლესია, ეკვტერი, ცხრა ქვის სენაკი, ერთი სვანური სახლი თავისი კარ

ლო—კარაპანით ყველა მოათავა. ერთ წელს ორი ბერიც მოიყვანა, მაგრამ მანდაურა ცხოვრება ვერ აიტანეს და ისევ უკან დაბრუნდნენ. ამ მდგომარეობაში იყო საქმე 1901 წლამდე. ამ წელს სვანეთს ყ-დ. სამღვდლო ლეონიდეს მობრძანდა; ადგილობრივ ნახა თეოფანე და მისი ნაღვაწ-ნაშრომიც, დარწმუნდა, რომ განსვენებულ ილუმენს ბევრი უშრომია, მაგრამ მონასტრის გახსნის იმედი და ძველათ რომ უნახავს იმისთანა ბერების შოვნისა ვერ აღუთქვა. მიხედა განსვენებული, რომ ამდენმა ზნეობრივმა და ფიზიკურმა შრომამ ტყუილად ჩაუარა და დალონდა, მაგრამ ეს საქმეს ვერ გამოაკეთებდა და ბეუს დაემორჩილა.

განსვენებული თეოფანე კარგი შესაყარი კაცი იყო; თვითონ ბერულ ცხოვრების მიმდევარი, სტუმარს უხვად უმასპინძლდებოდა. სანამ ლოგინად არ დაეარდა, მუდამ ჰყანდა სარჩენად 3—8 სული ქვირთვ-ობოლნი და უპატრონონი. ყოველ გაქვივრების დროს მზათ იყო მოხმარებოდა გაქვივრებულს. სადა ცხოვრების და ჩაკმა-დახურვის მიმდევარი, თავის ჯამაგირიდან სულ ცოტას ხარჯავდა თავისთვის. სვანები „ღმერთა მარა“ (ღვთის კაცს) ეძახოდნენ და დიდს პატივსა სცემდნენ. ქართველობაში, ნამეტურ სამღვდლოებაში ბევრს იცნობდა. მისთვის დაუფიწყარნი და მარად სახსენებელნი იყვნენ განსვენებულნი.

მღვდელ მთავარნი: გაბრიელი და ალექსანდრე, უკანასკნელის პატივისცემის აღსანიშნავად სურდა შიო მღვიმის მსგავსი მონასტერი დაეფუძნებია სვანეთში.

ამ ეპოქადა ყოველივე დანატოვარი განსვენებულისა (გარდა ეკლესიისა) ჩაბარებული აქვს მის ნათესავს ივანე კორძაიას. ეს უკანასკნელი უფლიდა განსვენებულს ავაღმყოფობის დროს. ჩემი უკანასკნელად ნახვის დროს 1910 წლ. ნოემბერში, განსვენებულმა ანდერძათ დამიტოვა: 1) ვეცადო, რომ აქ ბერმა იცხოვროს, რათა მის მიერ აშენებულს ეკლესიაში წირვალოცვა ირ მოასპოს და 2) უძრავი ქონება იჯარით გადაესცე მის მომვლელ ნათესავს ივანე კორძაიას, რომელსაც ვალოდ დაუდგინა,

ვინიცობაა აქ ბერი მოვიდეს, ბინა და სარჩომს-ცეს.

ბლადოჩინა სვანეთის ეკლესიისა
მ. ბეს. ნაყარაძე.

15 მარტი 1911 წ.

კვირილაშ-კვირაშდე.

საქართველოს ექსარხოსმა ინოკენტიმ პი-ატიგორსკში ინახულა პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი.

როგორც გავიგეთ ყ-დ. სამღვდლო გიორგი სამღვთისმშობლოთ დაბრუნდება ბორჯომიდან.

პეტერბურგში დაფინებით ლაპარაკობენ საბლერი თავს ანებებს სამსახურსო. მის ადგილზე ასახელებენ სენატორ დერიუჟინსკის.

ზაქათალის ოლქის მისიონერად, ნაცვლად მღვდლის დ. გოცირიძისა, მღვდ. ფილატოვი დაუნიშნავთ. ფილატოვს ხოსტორგოვის კურსები აქვს შესრულებული და მხოლოდ რუსული იცის.

21 აგვისტოს ექსარხოსი ინოკენტი ბათუმს გაემგზავრა, სადაც სამ ენკენისთვემლი დარჩება.

როგორც ვაზ. „Рѣчь“-ი გადმოგვცემს 27—30 აგვისტოს მიწვეული არიან საექსარხოსოს საეკლესიო სკოლების მოღვაწენა. კრებაზე მოწვეულნი არიან სხვა და სხვა საგნების სპეციალისტები.

ბათუმიდან დაბრუნების შემდეგ ექვარს ხოსი ინახულებს ბოდბის მონასტერს, სადაც შესდგება გახსნა და კურთხევა სამკლასიან სამსწავლებლო სასწავლებლისა.

ამის წინეთ ერთ საღამოს ვახშმობის დროს დვალიშვილების ეკლესიის (ქუთაისის მაზრაში) სამრეკლოზე ამტყდარა საშინელი რეკა და თან ყვირილი. მოცვენილა ხალხი და უნახავსთ, რომ ეკლესიის კარი ღიაა და შიგ რაღაც ძალზე ქშინავს. შინ ვერაფის შეუბედავს, სანამ ჩირაღდნებით არ გაუნათებიათ და არ შეიარაღებულან. თურმე ნუ იტყვივთ მღვდელსა და დიაკვნს ნაწირვებს ეკლესიის კარი ღია დარჩენოდათ და ეკლესია ხარძროხით ავსილიყო. გულგახეთქილი ხალხი, რომელსაც ეკლესიაში ქურდები გონებია, შინ დაბრუნებულა ზიზღით ავსილი თავის ეკლესიის მოსამსახურეთა ასეთ დაუდევრობის გამო. მეტი სიფრთხილე კი მართებს, სხვა რომ არა ვსთქვათ რა, ეკლესიის მოსამსახურეს!!

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნაკები ა. პ.-სა „განმარტება წმ. პავლე მოციქულის სამწყემსო ეპისტოლეთა“ და „სორტელი სტუმრისა“ „ტინი და სული“ „ბ. ივ. გომართელის ლექციის გამო“. ორივე წიგნაკი სუფთადაა გამოცემული და ღირს პირველი ერთი აბაზი, ხოლო მეორე ორი შაური. ჩვენ ღარიბ საღვთისმეტყველო ლიტერატურისათვის არც ერთი ამ წიგნაკთაგანი უმნიშვნელო არ არის.

წერილი ახ. სენაკიდან.

1910 წელს დეკემბრის შუა რიცხვებში მატარებელში შევხვდი გეგეთის სოფლის მსოფრებ მოხუც კოსტა ჯავახიას, რომელ-

მაც მითხრა, რომ იგი ეახლა მის მეუფება ლეონიდ ეპისკოპოსს და კურთხევა გამოითხოვა, რომ თავის სოფლის ეკლესიისთვის ხატი შეეწირა. მის მეუფებას ძლიერ სასიამოვნოთ დარჩენოდა ასეთი სურვილი ბ. ჯავახიასი, ნება დაურთო, დაულოცნა და მადლობით გამოუსტუმრებია.

ეხლა, როგორც სარწმუნოთ გავიგეთ, პატრიარქულ ღვთის მოყვარე კოსტა ჯავახიას შესრულება დანაპირები და ეკლესიისთვის ვეცხლით მოქედილი მთავარ ანგელოზის ხატი შეუწირავს, რომელიც ღირს ანა ნაკლებ 150 მანეთისა. უწინდელ დროში თავად-ახაურობა ამკობდა ეკლესიებს თავისი უხვი შემოწირულებით და ეხლა ამ პატიოსან პირს-ლა შერჩენია უნარი და ღვთისადმი და ეკლესიისადმი სიყვარული, რომ ასეთ გულ-უხვობას იჩენს და ამკობს ეკლესიას ძვირფასი ხატი. პატრიარქული შემომწარველი დიდ წასაბამ მაგალითს აძლევს ყველა მართლმადიდებელ ეკლესიის წევრს, რომლებიც ცოტა არ იყოს გულ-ცივათ უყურებენ ტაძრების შემკობა-განშვენებას.

* *

თუ ბ. ჯავახიასებური მაგალითი დღეს ჩვენში იშვიათი და თითოთ საჩვენებელი მოვლენაა, თუ ხალხი არა თუ შეწირულებაზე არ იჭრის ხელს, არამედ ტაძრად სიარულსაც კი გაურბის, ამაში ბრალი მარტო მას არ ედება, არამედ უფროს და უმეტეს მის მოძღვრებს, რომლებიც თავის ღვთისგან ბოძებულ მაღალ მნიშვნელოვან მოვალეობას გულცივად და ფორმალურად ეკიდებიან. მაგალითად: ოც ივნისს ამა წლის დ. ძველ სენაკში საბლალოჩინო კრებაზე მე შევიტანე განსახილველად შემდეგი საკურადლებო კითხვები: 1. არ უნდა მიეცეს ჯვარსაწერი მოწმობები მათ, რომლებიც დიდ მარხვაში არ ზიარებულან; 2. ჯვარის წერა უსათუოდ უნდა სრულდებოდეს კანონით დადებულ დროს; 3. მიცვალებულის ჩვეულებრივ ტირილზე მოტირალეობის მოტანილი სანთლის საბლში დატოვება აღეკრძალოს, არამედ ეკ-

ლესიაში იქმნეს წადებული; 4. ჩვეულებრივ ტარლზე მიკვალბულის ქირისუფალს გარდახდს ეკლესიის სასარგებლოთ ფული, რადგან იქ იხმარებიან სამკაულნი და ფუჭდებოან; 5. გაპირკვეს კითხვა, მღვდელი როდის მივიდეს ჩვეულებრივ ტირილზე (7 საათზე ითხოვს ხალხი); 6. უქმე დღეების წირვა-ლოცვაზე ხალხის დაუსწრებლობი მიზეზი გამოიკვეს და წინააღმდეგი ზომები იქმნეს მიღებული; 7. რომ ხალხი შეაჩვიო სარწმუნოებას და ეკლესიას (მოძრაობის გავლენის შემდეგ გულატრუებული ეკლესიაზე და მღვდელზე) მღვდელმა თვეში ერთხელ მაინც უნდა შამოიაროს თავისი სამწყსო და უქადაგოს სარწმუნოებაზე და წირვა ლოცვაზე დასწრების თაობაზე, და 8. მიუცილებელი საქიროა დიდ მარხვაში მაინც ოჯახებში ააზმის კურთხევა, რადგან ხალხი მომდურავია, რომ მღვდელი არ ეკარება მას.

ჩემ საკითხებზე ზოგიერთი მამები იცხრონდნენ და ზოგმა არც კი მოისმინა და გარეთ აივანში მიბრძანდა. თუმცა მამაბლადოჩინმა ორჯერ წინადადება მისცა კრებას, მაგრამ რადგან ოფიციალური კითხვები არ იყო, ვერ დააძალა.

ჯვარ საწერი მოწმობები ოდონდ კანონიერი იყოსო და დამის 12 საათზედაც დავწერ ჯვარსო, ბრძანა ერთმა მამათაგანმა. ასეთ ვამასხრებთ ჩვენ საქმეს და, რასაკვირველია, ხალხიც გულცივათაა მოძღვარზე და ეკლესიაზე. *)

*) რამდენათ საბუთონია ეს კითხვები და რა დღეინდება უნდა მიეღო მათ შესახებ საბლალოჩინო სამღვდლოებას, ეს სხვა საკითხია. ხოლო ამ საკითხების გარეგან სრულებით რომ არ შეხებიონ, ეს კი სათაკილოა და სამარცხვინო ავტორი, როგორც გიცით ახალი მღვდელია და მამასადამე-ჯერ კიდევ გამოუცდილი; მას უთუოდ აინტერესებს ხსენებული და მათი მსგავსი საკითხები, რომ კანონიერ ნიადგზე დააყენოს თავის მღვდელმსახურება. სამღვდლოება ვალდებული იყო შეხებოდა ამ საკითხებს და განემარტა ივინი თავის პრაქტიკიდან, მით უფრო, რომ მ. სოფერას გარე

*
**

ჩვენი სამღვდლოება არაფერს კითხულობს და არც ეტყობა სურვილი კითხვისა. საქიროა ქართული ეკლესიურ-საზოგადობრივი გაზეთი „ზინაური საქმიანობა“ სავალდებულოდ გაიხადოს მეგრელიისა და გურიის სამღვდლოებამ, როგორც იმერეთის სამღვდლოებამ ქნა ეს. აგრეთვე, გარდა ქადაგებისა, წელიწადში ორჯერ-სამჯერ მაინც ურიგდებოდეს ხალხს უფასოდ მისაცთომი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნაკები, განსაკუთრებით წმიდანების ცხოვრება, როგორც სამშობლოს, ისე საზოგადო მართლმადიდებელ ეკლესიისა. ეს წიგნაკები უნდა რიგდებოდეს ეკლესიის საფასით. ამავე მიზნით თიბეული მღვდელი ვალდებულია ჩაეწეროს იმერეთის სარწმუნოებრივ განმანათლებელ ქმობის წევრად, რომელსაც (ქმობას) მიზნათ აქვს ხალხში ასეთ წიგნაკების მუქათა გავრცელება.

უკანასკნელ მიუცილებელ საქიროებათ მიმანჩია მამა ბლალოჩინებმა ხშირ-ხშირათ მოიწვიონ საბლალოჩინო კრებებო და გააცნონ სამღვდლოება ეკლესიის ამა თუ იმ ნაკლს და საქიროებას.

მღვდელი ეკსკია სოფერას



და სხვაც იქნებოდა დამსწრეთა შორის იმავე გაუფრველობაში ხსენებულ საკითხების შესახებ. სამწუხაროდ ჩვენდა უნდა აღვიაროთ, რომ სამღვდლოება ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავის კრებებზე საზოგადო საკითხებს და ყოველთვის უფრო წოდებრივ ვიწრო ფარგალში ტრიალებს და ეს ფარგალიც ნივთიერი კითხვებით შემოიხლუდება. სამწუხარო მოვლენაა და მისი შესუსტება და საზოგადო სარწმუნოებრივ-ზნეობრივ კითხვების წამოყენება საეხებით ბლალოჩინების საქმეა. მეორე მხრით ისიც უნდა აღვიაროთ, რომ ასეთი გულცივობა ხანმოთუფლ სამღვდლოებისა იმ საკითხების შესახებ, რომელიც აინტერესებს ახალ მღვდელს, გულს უფუჭებს უკანასკნელს და ახევს უსაქურობას და მუქთაობას. ამ მხრით დიდი დანაშაულია ძველსწინაკლ საბლალოჩინო მამათა გულცივად მოკვება და უყურადღებობა ახალი ამხანაგისადმი.

ოქტატორი.

გაბრიელე დანუნციო.

ზ ა ნ დ უ კ ი.

მოთხრობა:

ლუკას მოესმა თუ არა ჯოხების ბრახუნი, იმ წამსვე გააშტერა გაცეცხლებული ციებ-ციხელებსაგან თვალები კარებს და ელოდებოდა ძმის შემოსვლას. მთელი მისი პირის სახე, ტანჯვისაგან დაღმეკილი, ავითმოჟოკობისაგან ქანც-მოკრეული, დალაქავებული, უცებ შეუბრალებელი და ბოროტი შეექნა. სტაცა ანახდეულათ ხელი დედას და ჩაწყვეტილი ხმით უთხრა: — გააგდე აქედამ! გააგდე მეთქი! აჲ მინდა და დავინახო! გესმის თუ არა? არ მინდა — არასოდეს! გესმის თუ არა? სიტყვები პირში აღარ ეტია სიანჩხლისაგან, დედს მაგრათ ხელი დაუჭირა და ხველებამ კისერში მოუსწრო; პერანგი მთლათ აუძიავდა. ტუჩები დაუსივდა, ნიკაპაზე სიმწრისაგან წყლულიდამ სისხლი და ბლღამ ვადმოსდიოდა. დედას უნდოდა დაემშვიდებია. — კი შეილო, კი დედა! შენ იმას ვეღარ ნახავ აწი! როგორც შენ გინდა, ისე ექვ. გავაგდებ მაშა! სახლი შეილო შენია, ვინ გეცილება. — ლუკა შიგ პირში ახველებდა მას. — ამ საათში, ამ წუთაში მეთქი გელაპარაკები, წამოდგა ლოგინიდან და კარებისაკენ გაჭრუნდა დედა. — კარგი შეილო, ახლავე ამ წუთაში!

ჩირო ჯოხებზე დაბჯენილი ზღურბლთან გამოჩნდა. ის იყო მომცრო ტანისა, გამხდარ, უშველებელი თავი ისედაც გამხდარ სახეს აუშნოებდა. თმები იქეთი თეთრი იყო როგორც თოვლი; წყნარი თვალები კრავს მიუგავდა. ის უხმოდ შემოვიდა, რადგან მუნჯი იყო — ენა ჩაუარდნილი იყო, მის თვალებს წარმოუდგა ძმის შეუბრალებელი, სასტიკი გამომეტყველება, შეჩერდა შუა ოთახში და ფეხის გადადგმას ვეღარ ბედავდა იქიდან. მარჯვენა მოკლე დაგრებილი ფეხი წამდაუწუმ უკანკალედა. ლუკამ დედას უთხრა: — საიდან მოეთრია აქ ეს კოჭ-

ლი? გააგდე აქედამ. მე მინდა რომ შენ გააგდო აქედამ ის — გესმის თუ არა? ამ საათში გააგდე!

ჩირომ რომ ეს გაიგონა დედინაცვალს შეხედა, მის თვალეში ისეთი მულარება იხატებოდა, რომ დედინაცვალმა ხელის ხლევა ვეღარ გაბედა. მერმე იმან ერთ ხელში ჯოხი დაიკავა და მკორეთი ანიშნა ზანდუკზე ისეთის სახით რომ კაცს გული შეუწუხდებოდა. იმას უნდოდა ეთქვა: — შშია. — არა, არა, არა მიცერა — გააბა ყვირილი ლუკამ, იქით აქეთ ირწეოდა და უნდოდა შეესმინა დედსათვის არამც და არამც არ გაეკითხა იგი. — არაფერი მისცე! გააგდე. ჩირომ თვისი დიდი თავი ჩაქინდრა, მთელი ტანი უკანკალედა და თვალები ცრემლივით ჰქონდა საფხე.

როდესაც დედინაცვალმა ჰკრა ხელი კარებისაკენ, ამოუშვა ქვითინი და დამორჩილდა თვის ბედსა. კარები მიჰკეტეს და დარჩა მარტოდ-მარტო კარში გაუკითხავი. ხმა მალდა და წამ-და-უწუმ ქვითინებდა. გაბრაზებულმა ლუკამ უთხრა დედას: — გესმის? განგებ ჩადის ამასა, რომ გულზე შემომივიდეს. — უფროსი ძმა კვლავ სტიროდა და ხანდისხან ისე ზმუოდა, თითქო ცხოველიაო გეგონებოდათ. — რომ არ ესმის? გადი კარში, უწიანე ხელი და კიბიდან გადააგდე იქით. — ქალი წამოხტა, მივარდა კარებს და დაუწყო ჩვეულებრივად უმოწყალოდ ცემა საცოდავს. ლუკა იდაყვ დაყრდობილი ყურს უგდებდა ამ პარტყა-პურტყსა.

— დაჰკა! დაჰკა! — ყვიროდა ის. ჩირომ ხმა გატვრნა; ქვითინი შეიკავა, კიბიდან ჩავიდა და ქუჩაში ვავიდა. დამშეული იყო, რადგან ორი დღე არა ექმა რა და ძლივს მიათრეკავდა ჯოხებსა. მის წინ ბავშვებმა გაიბინეს გრიამულით. ზოგმა ხელი აუჯიკავა ჩიროსა და გალახა. ზოგიერთნი დასცინოდენ და უყვიროდენ: გააქნე ცხეთ აჲა ჰე! იყვნენ მათში ისეთებიც, რომელნიც მის დიდ თავს დასცინოდენ და უკიეინებდენ: რა დირს გირვან-

ქა ტვინით. ერთმა იმათგანმა, ყველაზე უფრო შეძლებულმა, გამოკრა ფეხი მის ჯოხსა და გაშვა. მუნჯი წატრტმანდა და მერმე ძლივს დასწვდა ჯოხსა, აიღო ხელში და გაცალდა იქაურობას. ბავშვების ყვილ-ხივილი მდინარის არე მარეში იკარგებოდა. მემორები რალაცას მღეროდენ მდინარის პირსა მოსახიბლავი ამინდი ყუა.

ჩირო გრძობდა, რომ შიმშილით კუჭი ეწოდა და ფიქრობდა: მეტი რაღა დამრჩენია—სამოწყალოს ჩამოვითხოვო. ფურნიდამ გაზაფხულის სიოს პურის სუნი მოჰქონდა. თავი დამ ფეხებამდე თეთრად შემოსილმა კაცმა გაიარა; თავზე სუფრა ედგა და იმაზე წყობ-წყობად პურები ელაგა. იმას უკან ორი ძალი მისდევდენ კულის ქიციანით. ჩირომ იგრძნო გულის შეღონება შიმშილისაგან და იფიქრა:—თუ სამოწყალო არ ჩამოვითხოვე, შიმშილით სული ამომეკრებაო. დასალამოვამდა. ზარის ხმა ჰაერში იფანტებოდა. ჩირომ იფიქრა: ეკლესიის კარებში გაფიქრდები. შელასლასდა იქითკენ. შეიხედა და მოჰკრა თვალი საკურთხეველში ვარსკვლავებით მოციმციმე სანთლებს, საკმეველის სუნმა გააბრუნა. დრო და დრო ორღანი ბლუოდა. ჩიროს კვლავ თვალთაგან ცრემლის ნაკადული გადმოდიოდა, გულის სიღრმემდე ღეთისადმი სასოებით აივსო და წაიტუტუნა:

— ღმერთო, ნუ დამაგდებ, მომხედე! ორღანმა ისეთი დაიღრიალა, რომ შიშით გული გაუსქდა ღარმე და ცოტა ხნის შემდეგ წყნარი ჰიბნი გულს საღბუნათ მოხვდა. იგრილეს მგალობლებმაც. მლოცველები ორ-ორ სამსაში შემოდიოდენ ერთად ერთის კარიდან. ჩიროს ხელის გაშვება ჯერ კიდევ ვერ გაებდნა! მის გვერდში მდგომი მათხოვარი კი საცოდავად დაიდმაჰა: მოწყალება მოიღეთ! ახლა კი შერცხვა მუნჯს, მან დაინახა ეკლესიაში შემოსული თავი დამ ფეხებამდე შავს ჩადრში გახვეული დედინაცვალი. —რა იქნება დედინაცვლის იქ არ ყოფნის დროს რომ სახლში ში

ვიდე—გაიფიქრა. ისე შეეპყრო შიქშილს, რომ მოფიქრება და ასრულება ერთი იყო. საჩქაროდ წავიდა. გზაში ვიღაც გოგომ გადახა:—ნიძლევის ასაღებად გაუჩქარე კოჭლოო?

გულ-ამომჯდარმა მიადწია სახლამდე. კიბეზე დიდის სიფრთხილით ფეხის აკრფვით ავიდა. ხელი მოუბოჩინა იმ ადგილს, სადაც დედინაცვალი კლიტვა ინახავდა ხოლმე. მონახა იგი, მაგრამ, სანამ სახლში შევიდოდა, ქუქრუტანაში შეიხედა. ლუკას ლოგინში ძინა! ჩირომ იფიქრა:—არკი დავისვამ ღირს, რომ ლუკას დაუნახავად პურს ვიგდებდე ხელშიო!

გადააბრუნა კლიტე ნელ-ნელა, სულ ამოუღებლად, გულის ბარძგალით. უნდოდა ძმა არ გამოეღვიძებია. მას ეგონა ამ ხმაურობამ მთელი სახლი მოიცვაო. —ნეტავი ან კი რა მოხდება რომ გაეღვიძოს! ძმას კი გულადმა მწოლარეს, მძიმედ ეძინა. ხანდ-სხან ხვრინავდა. ერთად-ერთი სანთელი ანათებდა იქაურობას ჩირო მიუახლოვდა თუ არა ზანდუკს, შეჩერდა ძალა და ღონეს მოსაკრეფად, ჯერ მძინარეს გადახედა, მერმე ჯოხებზე ილიებ ქვეშ დაყრდნობილი, ნელ-ნელა ზანდუკის თავის ახდა იწყო. ზანდუკმა ხმა-მალა დაიქრიალა. ლუკა ერთბაშად შეიშოშნა. ძმას რომ შეხედა ზანდუკს აღებდა მორთო ყვირილი, გასასავსე ხელები გიყვივით:—აი შე ქურდო, ქურდო! ქურდო! სიბოროტე ახჩობდა. ჩირო კი შიმშილით ისე იყო ბურუსში გახვეული, რომ ხელის კანკალით განაგრძობდა პურის ძებნას, ძმა კი გადმოხტა ლოგინიდან, მივარდა და უნდოდა ხელი აეჯიკავებია. —ქურდი! ქურდი! ქურდი! ბრაზმორეულივით იქით-აქეთ აწყდებოდა და როდესაც სიბოროტესაგან აღარ იცოდა რა ექნა, დაახურა ზანდუკის თავი თავზე ჩიროს. ის კი თავის საშველად დასაკლავი ცხოველივით იქით-აქეთ იწევდა. ლუკასაც ცოცხალი და ღონე ჰქონდა უნდოდა ეძლია მისთვის, გონება დაკარგული ზემოდან დააჯდა ზანდუკსა და უნდოდა თავის სიმძიმით თავი გაეგდევ

ბინებია ძმისათვის. ზანდუკს კილი გაჰქონდა, კისრის ძარღვები მთლად ჩააქრა, ძვლები დაუ სხვრია. მერმე ზანდუკზე გადმოკიდებულიყო უსუსლო, უძაღვი გვამი. როდესაც დანახა მკვდარი ძმა, ლუკამ შინისაგან კანკალი იწყო. ორჯელ თუ სამჯელ ტორტმანით გაიარ-გამოიარა ოთახში, გადმოათრია ლოგინიდან საბანი, ვაეხვია შიგა თავით ფეხებამდე და შეძვრა საწოლ ქვეშ. ამ სამარისებურ სიჩუმეში კბილებს კბილებზე აცემინებდა, თითქო რკინას ხერხავსო.

კ. გქელა.



რედაქტორს მ. ს. მჭედლიძეს და მისი გაზეთის თანამშრომელს ბ. „Fanius“-ს.

ჩემს პირველ წერილში, რომელიც მოთავსებულია „შინაური საქმეების“ ვე 16 ნომერში, მე მოვთხოვე ჩემს მოპირდაპირეს ბ. „Fanius“-ს სამედიკორო სამართალში გამოსვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში განეაცხადებდი საჩივარს მ. რედაქტორზედ საშოქალაქო სასამართლოში. რადგან მან ჩემს შესახებ ცილის წამება მოათავსა თავის გაზეთში. ბ. „Fanius“-მა ამავე გაზეთის მე-20 ნომერში სამედიკორო სასამართლოში გამოსვლის თანხმობა გამომიცხადა, ხოლო თავისი ვინაობა კარ გამოამჟღავნა, რათა როგორც მე, აგრეთვე მოსამართლეებს და საზოგადოებასაც სცოდნოდა ვისთან მქონდა მე საქმე. თუმცა ჩემი მოპირდაპირე თავის წერილში სამედიკორო სამართალში გამოსვლაზე სიტყვით თანხმობას მიცხადებდა, მაგრამ საქმით კი, ცოტა არ იყოს, უკან უკან იწეეს, რადგან ვერ ბედავს ფარდის ახლას თავის ვინაობის გამოსაქვლანებლად და ვერც წინადადებას მაძლევს მედიკორების არჩევისას, ამასთანავე ამა წერილში მირჩევდა ცოტა მოთბინება მქონებოდა და მომეცადა, რადგანაც რაღაც დაბრკოლებას ხედავდი ერთ გარემოებაში“. ამის შემდეგ გავიდა თითქმის

სამი კვირა, ჩემს მოპირდაპირეს, როგორც ეტყობოდა ალბათ შეუკეთებია საქმეები, ვეჭილობაც სხვისთვის მიუწვდია და „შინაური საქმეების“ მე 23 ნომერში მოთავსებული წერილით ახლა მ. რედაქტორი მის მაგიერ გამოდის და მიცხადებს შემდეგს: „რადგან რედაქციას სრულ სიმართლეთ მიაჩნია ყველა ის ბრალდებანი თქვენს შესახებ, რომელსაც სწერს ბ. „Fanius“-ი თვის წერილში და რადგან მას არ სურს თვისი თანამშრომლის ვინაობის გამოჟღავნება, ამიტომ თვით მე რედაქტორი ვიახლებით სამედიკორო სამართალში“

ახირებული საქციელი. თუ გინდათ ეს არის მ. რედაქტორო?! „რედაქციას სრულ სიმართლეთ მიაჩნიაო“ ბრძანებთ—ჯერ რა ან როდის დამტკიცეთ, რომ სიმართლეთ მიგაჩნიათ?! მას ე. ი. რედაქციას და ბ. „Fanius“-ს არ სურთ ვინაობის გამოჟღავნება, ესეც ახირებულია, მას თუ არ სურს, მე მსურს და თან საზოგადოებას, ვიცოდეთ ვისთან გვაქვს საქმე და ვის უნდა ვეჭილო. მაგალითად, ჩემი ბრალდება თუ დამტკიცდა, მაშინ საზოგადოებამ უნდა გამეციხოს მე მღვდელი ნიკოლაძე, რადგან პირდაპირ ჩემ გვარს ვაწერ და თუ ბ. „Fanius“-სი გამტყუნდა, ის რომ დარჩა მაინც ბუჩქებში შემძვრალი და მალეით გაპარული; საზოგადოების მიერ გაეციხვა მაშინ მას არაფრად შეაწუხებს და შეარცხვენს, რადგან არავის არ ეცოდინება ვინ პრძანდება „Fanius“-ი ჩემი ცილის მწამებელი. ან კი მე დავკმაყოფილდები მაშინ ასეთი გასამართლებით და მსჯავრით?!

თქვენ, მამაო რედაქტორო, მე არ გამომიწვევიხართ სამედიკორო სამართალში, არამედ გამოვიწვიე და ვიწვევ კიდევაც თქვენი გაზეთის თანამშრომელს ბ. „Fanius“-ს, რომელთანაც მაქვს ჯერ მე პირდაპირ საქმე. მას, თუ შესწევს შოქალაქობრივი გაბედულობა, ვალდებულია სამართალში გამოსვლამდი ამცნოს საზოგადოებას თავისი ვინაობა, და შემდეგ გამოვიდეს სამართალში; ეს ყოველთვის

ასეთ მომხდარა და დღესაც არსებობს სამედიცინო სამართალში გამოსვლის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში მე მედიკატორებს ვერ დავასახელებ ჩემი მხრით და უფლებას ვიტოვებ, როგორც მოგახსენეთ პირველ წერილში, აღვძრა საჩივარი თქვენზე და გაგებინათ პასუხი კანონის წინაშე თქვენი გაზეთის ფურცლებზე მოთავსებულ წერილში ჩემს შესახებ ცილის წამებისთვის.

მღვდელი კროთეოზ ნიკოლაძე.

პასუხი.

თქვენ, მამაო იეროთეოზ, როგორც საგაზეთო ეთიკის კაი მცოდნეს, უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ რედაქტორს არა თუ უფლება აქვს თავის თანამშრომლის ფსევდონიმი არ გამოამჟღავნოს, არამედ ვალდებულიც არის დაიცვას მისი საიდუმლოება. რაც გაზეთში იწერება, მისი პასუხის მგებელი პირველად რედაქტორია და მეც, როგორც რედაქტორი, არ გაურბივარ ამ პასუხის გებას. ეს ერთი. მეორე, რა იცით, მ. იეროთეოზ, რომ ის ფანიუსი, რომელსაც თქვენ ეძებთ, თვით მე არა ვარ, ე. ი. მე, რედაქტორი, რომელიც მზათა ვარ გამოგყვეთ სამედიცინო სამართალში. გარდა ამისა ისიც ხომ შეიძლება, რომ ფანიუსი ვიღაც მესამე პირი გაგაცნობს და ნამდვილი ფანიუსი კი დაეფაროს. და ან რა საბუთი გაქვსთ დაგვიჯეროთ ჩვენი, როცა ცილის წამებას გვაპრალობთ. ცილის მწამებელი ბოლომდის ასეთი უნდა დარჩეს და მისი ნდობა ძნელია. ამიტომ არ გირჩევნიათ, რომ ნამდვილ, უტყუარ პიროვნებასთან გქონდესთ საქმე?

თქვენ გაწუხებთ ის გარემოება, რომ საზოგადოება ვერ გაკიცხავს გამტყუნებულ ფანიუსს, რადგან მისი პიროვნება გამოურკვეველი რჩება, არა? მაგრამ ეს მწუხარება ხომ წინასწარაა. რა იცით, რომ ფანიუსი გამტყუნ-

დება და არა თქვენ? თქვენ რომ გამტყუნდეთ ფანიუსმა რა ზნეობრივი დაკმაყოფილება, რა ჯილდო უნდა მიიღოს საზოგადოებისაგან, რადგან მისი პიროვნება იმავე საიდუმლოებით იქნება მოკული?

მეორე მხრით, განა თქვენთვის საკმარისი ჯილდო არ იქნება პირადი გამართლება და რედაქტორის გამტყუნება, რომელსაც ცილის წამებას დაუმტკიცებთ?

რა გნებავთ სულში? განა ის ცილის წამება, რომელშიაც თქვენ ბრალს მდებთ, როგორც რედაქტორს, ნაკლებათ გამოირკვევა სამედიცინო სამართალში და განა ფანიუსის გამტყუნება ჩემი მხილება არ იქნება ცილის წამებაში. მეორე მხრით, სულის წესით რედაქტორს გამტყუნება გაგამართლებსთ თქვენ საზოგადოების თვალში? ტყუილს კი არ მოგახსენებთ ბ. ფანიუსი: „გამარჯვება ზოგჯერ დამარცხებაზედაც უარესიაო“. და რით არ არის სამედიცინო სამართალი სული და მათე უკეთესიც :ღებულ შემთხვევაში? თუ მოხდა დანაშაულობა, მოხდა საზოგადოების წინაშე და ამიტომ საჭიროა თვით საზოგადოებამ გაგვესამართლოს და გაიგოს ნამდვილი საქმის ვითარება.

მათ უფრო, მამაო იეროთეოზ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში გებრძვით არა პირადად თქვენ, არამედ იმ სენს, რომელმაც არჩევითი წესის შემოღების შემდეგ დაიბუღა სამღვდელთა და მის ამრჩევ საზოგადოებაში. ჩვენი სურვილია, ერთხელ და სამუდამოთ დაგმოზილ იქმნეს ის შეუფერებელი, უმართებულო საქციელი, რომელიც მოქმედებს დღევანდელ არჩევნებში. ჩვენ გვინდა ან სულ მოისპოს ის წესი, რომელიც რყენის მწყემსსაც და სამწყსოსაც, ან გასწორდეს და შეიქნას სამღვდლო ეკლესიის სასარგებლოთ.

ნუ დაივიწყებთ, რომ ეს წესი მარტო ჩვენში არსებობს დღეს და ყველანი ვალდებული ვართ ვიზრუნოთ მისი სიკეთისათვის, რომ

სრულიად სასაცილო არ გახდეს ის სამღვდ-
ლოეა, რომელიც თეითარსებობას აპირებს,
ვეტოკეფალობას ესწრაფება.

მაშ საქმე პრინციპიალურ საკითხს შეეხე-
ბა და ასეთი საკითხის გამორკვევისათვის სა-
ჭიროა სწორედ სამედიატორო სამართალი და
არა სული. ამისათვის, თუ მართლა სამედიატო-
რო სამართალში გამოსვლა გსურთ (თუ არ
გსურთ არ გეძალდებით), მოპირდაპირეთ ნუ
დამიწუნებთ და ნურც სულში წახვალთ საჩივ-
ლელათ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ზნე-
ობრივი სასჯელი, რომელიც თან სდევს სამე-
დიატორო სამართალს, უფრო საგრძნობელი
იქნება ჩემთვის, ვიდრე ნივთიერი ან ფიზიკური.

დასასრულ ერთჯერ კიდევ გთხოვთ, და-
გვისახელოთ მედიატორები: — თუ გნებავსთ
და მიმიღებთ, მე იგივე ფანიუსი ვარ, როგორც
რედაქტორი.

რედაქტ. მღ. ს. მჭედლაძე.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მხაღლიძე**.
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

ვ ა ე ზ ა ლ ე ბ

ქ. ფოთში ვაჟებს და ქალებს ვეელა და-
ბაღ და საშუალო სასწავლებლებისათვის,
სიმწიფის მოწმობაზე, აფთექის შაკირ-
დობაზე, სამრეწლო, სახალხო, საოჯახო
და სამაზრო მასწავლებლობაზე, პირველი
კლასის ჩინისთვის და სს., აგრეთვე სპე-

ციალური მაცადინობა ახალს და ძველს
ენებში. მაცადინობა სინიდისიერი, ფასი
ზომიერი.

ადრესი: ქ. ფოთი, სავაჟო გემნაზია, მღ. მე-
ლიტონ კელენჯერიძე.



სტამბა „ურუმა“

— დაბა შვირილაში —

შვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ

დებულაბს უოველგვარ სასტამბო საქმ.

ვბეჭდავთ: ბლანკებს, აფიშებს, განცხადებებს,
წიგნებს, ბროშურებს და უოველგვარ მისა-
წვევ წერილებს: ქორწინებისას, ნათვლისას,
სამგლოვარისას და სხვ. აგრეთვე კონტო-
რებისათვის საანგარიშო წიგნებს და წიგნა-
კებს, კვიტანციებს, იარკიკებს, სადარბაზო
ბარათებს (ვიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლე-
ბლ-სათვის კლასის ჟურნალები და

საქმეებს ვასრულებთ სუფთად და თავის
დროზე ძლიერ დაკლებულ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით
პატრიცემულნი ზაკახიკები.

ადრესი: ვეირილა სტამბა „ურუმა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Квирмы



სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ეოველევარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევარს. ასრულებს დროზე, სუფთათ, სიძედათ და სინდისიერათ.

ფასება ნახატების დისკებაზე და ზომასზე დამოკიდებული და ეოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არაეისთან დამოკიდებულება და ეკავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მისთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევარს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ეოვლად სამღვდელთა **ლეონიდას** ნდობით და კვაქვს მათი შეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრესი: „შინაური საქმიანობის“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

„შინაური საქმიანობის“ რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწვებები ახალი ფორმისა და ეველა უწვებები (ВЪДОМОСТИ) წლიური საბლადონის ანგალიძებისათვის. ბლანკები „მობის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწვეილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаись, Правленіе религиозно-просвѣтительнаго „братства“.

Ольтенбургская д. № 5.